ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“

2024 -2025 წლის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“ ემსახურება მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის სხვადასხვა სპორტულ სექციებში გაერთიანებას და არჩეული სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალიზებას.

საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით ა(ა)იპ „სპორტის ცენტრში“ გაერთიანებულია 13 სპორტული მიმართულება, ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კარატე ტაიკვანდო, სპორტული კარატე, მძლეოსნობა, მკლავჭიდი ,რაგბი, კინგ-ბოქსინგი, ჭადრაკი.

სულ ფუნქციონირებს 24 ჯგუფი. ჯგუფები გახსნილია - დაბაში, ბორითში, ხევში, კიცხში,ბორში, ვარძიაში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში და ვახანში.

2024 წლის მდგომარეობით სპორტულ ცენტრში დასაქმებული იყო 70 თანამშრომელი, მათ შორის 42 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 28 მწვრთ ნელი. 2024 წლის 13 სექტემბრიდან რეორგანიზაციის შედეგად ტურიზმის ცენტრის 12 თანამშრომელი გადაყვანილი იქნა ა(ა)იპ „კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრში“.

დღეის მდგომარეობით (2025 წელი) ჩვენს ორგანიზაციაში დასაქმებულია 55 თანამშრომელი, მათ შორის 24 მწვრთნელი. ცენტრში სპორტის სხვადასხვა სახეობას ეუფლება - 410 მოსწავლე, ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში.

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენდა - 678 500 ლარს.

საკუთარი შემოსავალი 2024 წლისათვის შეადგენდა 9 840 ლარს, აღნიშნული თანხა მიღებულია ტრენაჟორების, დარბაზის, მოედნის გაქირავების და ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან.“

ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე დაგეგმილი იყო - 546 830 ლარი,

ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 546 619 ლარი.

სამივლინებო თანხებში დაგეგმილი იყო - 6 000 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 5 662 ლარი (მათ შორის, ტრანსპორტირების ხარჯი, დღიური ნორმა და სასტუმროს ხარჯი).

ოფისის ხარჯში დაგეგმილი იყო - 16 230 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია

13 946 ლარი, აქედან:

საკანცელარიო ნივთებისათვის - 409 ლარი.

კატრიჯების შეძენა დატუმბვისათვის - 660 ლარი.

ოფისისათვის სანიტარულ ხარჯებში გახარჯულია - 241 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯში დაგეგმილი - 2 800 ლარიდან დახარჯულია -2 725 ლარი.

საფოსტო მომსახურეობაში დაგეგმილი - 50 ლარიდან - ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 30 ლარი.

კომუნალური ხარჯის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 9 881 ლარი, მათ შორის:

ელექტრო ენერგიის ხარჯის ფაქტიური შესრულება - 5 329 ლარს შეადგენდა.

წყლის ხარჯი -გახარჯულია - 2726 ლარი.

ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი გეგმით- 2600 ლარიდან გახარჯულია1826 ლარი.

რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებში დაგეგმილ - 4 400 ლარიდან, დახარჯულია -2 335 ლარი.

ტრანსპორტის დაქირავების ხარჯში - 7000 ლარიდან დახარჯულია- 4 875 ლარი.

(ტრანსპორტით მომსახურეობაზე დადებულია შესაბამისი ხელშეკრულებები).

საწვავის საპოხი მასალის (ბენზინი) ხარჯში დაგეგმილი- 700 ლარიდან დახარჯულია - 344 ლარი.(მოედნის მოვლის მიზნით)

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების დაგეგმილი - 14 890 ლარიდან, დახარჯულია - 12 411 ლარი.

სოციალური დახმარების საბიუჯეტო მუხლის გეგმით - 1000 ლარიდან დახარჯულია - 839 ლარი (ბიულეტენი).

სხვა ხარჯები (ერთჯერადი ფულადი ჯილდო და სპორტულ ღონისძიებებში ბავშვების მონაწილეობის ხარჯი, სპორტსმენების კვება , ტრანსპორტირება, საწევრო)

- 33 000 ლარიდან დახარჯულია - 29 695 ლარი, აქედან გასაცემი ფულად ჯილდოსთვის დახარჯულია - 10 200 ლარი, სხვა მიმდინარე ხარჯებში დახარჯულია - 19 495 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შეადგენდა- 48 050 ლარს და ფაქტიური ხარჯი იყო - 7 050 ლარი, აღნიშნულ მუხლში შესრულებლის მაჩვენებელი დაბალია, ვინაიდან სპორტული ინვენტარის (საჭიდაო ლეიბი)) შეძენის მიზნით დადებული ხელშეკრულება იყო გარდამავალი, კერძოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდებოდა 2025 წლის თებერვლამდე და შესაბამისად ანგარიშსწორების ვალდებულება დადგა 2025 წლის პერიოდში, თუმცა ვალდებულება აღებული იქნა 2024 წელს.

ფოტო აპარატის შეძენის ხარჯი - 3 950 ლარი

მინდვრის საკრეჭი მანქანა - 3 100 ლარი

2024 წელში საკუთარი შემოსავლიდან მიღებულია - 9 840 ლარი.

სულ 2024 წლისათვის საკუთარ შემოსავლებში გასახარჯი თანხა განისაზღვრა 15 136 ლარით, აქედან 2024 წელში გაიხარჯა - 2 857 ლარი.

2 857 ლარის ხარჯვა განისაზღვრა შემდეგნაირად:

აუდიტის მომსახურეობის -250 ლარი

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე - 807 ლარი (თასები და მედლები)

არაფინანსური აქტივების ზრდა - 1800 ლარი (ლეპტოპის შეძენა)

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ 2025 წლის ბიუჯეტის ოთხი თვის გეგმა შეადგენს - 326 800 ლარს, შესაბამისი პერიოდის შესრულება შეადგენს - 233 715 ლარს.

2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 მაისამდე ათვისებული თანხებია:

შრომის ანაზღაურება - 193 883 ლარი.

სამივლინებო ხარჯები - 2 119 ლარი.

კატრიჯების დატუმბვის - 80 ლარი

კავშირგაბმულობის ხარჯი - 592 ლარი

ელექტრო ენერგიის ხარჯი -2 406 ლარი

წყლის ხარჯი - 574 ლარი

ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი - 5 124 ლარი

რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი- 1 874 ლარი

ტრანსპორტის მომსახურეობის ხარჯი - 399 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული ხარჯი - 2 453 ლარი

სოციალური უზრუნველყოფა - 473 ლარი

სხვა მიმდინარე ხარჯები - 5 023 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა (სპორტული საქონლის შეძენა- საჭიდაო ლეიბი) - 18 700 ლარი

2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 მაისამდე საკუთარი შემოსავლიდან დახარჯულია - 5 404 ლარი:

აუდიტორიული მომსახურება - 250 ლარი

სამედიცინო ხარჯი - 280 ლარი

სპორტული ინვენტარის, უნიფორმითვის - 4 470 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული ხარჯი - 404 ლარი

2024-2025 წლის სპორტული ღონისძიებები:

2024 წლის 12-13 იანვარს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა კალათბურთში გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ცენტრის კალათბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი: ნუგზარ კაპანაძე)

2024 წლის 26-27 იანვარს ქალაქ თბილისში ჩატარდა სალიცენზიო შეჯიბრი სარეიტინგო ტურნირებისთვის, სადაც ჩვენმა მოსწავლემ თორნიკე ხაჩიძემ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება (მწვრთნელი: სოსო ხაჩიძე)

2024 წლის 23 თებერვალს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, სადაც წარმატებით იასპარეზეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (მწვრთნელი: ივანე გოგოლაძე)

2024 წლის 8-10 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა თბილისის ღია პირველობა მკლავჭიდში, სადაც მარჯვენა და მარცხენა ხელში - ნიკოლოზ ჩხიკვაძემ და გიორგი წარიაშვილმა დაიკავეს მესამე ადგილები (მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 16 მარტს ქალაქ ჩოხატაურში გაიმართა საქართველოს ასაკობრივი ფესტივალი რაგბში, სადაც მონაწილეობა მიიღესა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ რაგბის სექციის მოსწავლეებმა(მწვრთნელი: გიორგი ნინიკაშვილი)

2024 წლის 28 მარტს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის(მწვრთნელი: გოჩა გელაშვილი)

2024 წლის 31 მარტს ქალაქ თერჯოლაში ჩატარდა ვიტალი გაბიანისა და თამაზ სოფრომაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, სადაც მძიმე წონით კატეგორიაში თორნიკე თაბუკაშვილმა დაიკავა მეორე ადგილი(მწვრთნელი: ზაზა ბერაძე)

2024 წლის 6-7 აპრილს ქალაქ თბილისში ვერის საკალთბურთო დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი გოგონა კალთბურთელთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის კალთბურთელ გოგონათა გუნდმა(მწვრთნელი: ნუგზარ კაპანაძე)

2024 წლის 13 აპრილს გაიმართა გოჩა ბუაჩიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდნენ ვეტერანი ფეხბურთელები.

2024 წლის 10-12 აპრილს ქალაქ ხაშურში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი 17 წლამდელთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც წარმატებით იასპარეზა ვახო ნიქაბაძემ და გახდა ვიცე-ჩემპიონი. ვახო ნიქაბაძეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ წესდების საფუძველზე ორგანიზაციის ბიუჯეტიდან ჩაერიცხა წამახალისებელი ფულადი ჯილდო(მწვრთნელი: რევაზ შერგელაშვილი)

2024 წლის 11-14 აპრილა ქალაქ ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ღია პირველობა ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის სპორსტსმენებმა და წარმატებით იასპარეზეს(მწვრთნელი: დავით არჩვაძე)

2024 წლის 17 აპრილს ქალაქ საჩხერეში ჩატარდა ნიკოლოზ ცქიტიშვილის სახელობის ტურნირი კალთბურთში ვაჟთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა კალთბურთელებმა და დაიკავეს მეორე ადგილი(მწვრთნელი: ბექა ბანცაძე)

2024 წლის 24 აპრილს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის ღია პირველობა მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის, ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ასევე ბორჯომისა და ზესტაფონის სპორტსმენებმა(მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 26 აპრილს სოფელ ბორითში ჩატარდა ლაშა კურტანიძის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის, ბორითის და ხევის ფეხბურთლთა გუნდებმა. ტურნირში გამარჯვება მოიპოვა ბორითის გუნდმა(მწვრთნელი: სულიკო დონაძე)

2024 წლის 10-12 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარდა ზურაბ იარაჯულის სახელობის მემორიალური ტურნირი ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის სპორტსმენებმა, პირველი ადგილი დაიკავეს ომარ ცისკაძემ, მარიამ ქვემოთიანმა და ნიკოლოზ არჩვაძემ, მეორე ადგილი - გიორგი ქვემოთიანმა და მიხეილ დვალმა ,ხოლო მესამე ადგილი- ლუკა არჩვაძემ(მწვრთნელი: დავით არჩვაძე)

2024 წლის 18 მაისს ამბროლაურში ჩატარდა დინამო თბილისის ორგანიზებით ფესტივალი ფეხბურთში 2013-2014 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. ფესტივალის მიზანი იყო პერსპექტიული ფეხბურთელების გამოვლენა (მწვრთნელი: გოჩა გელაშვილი)

2024 წლის 25-26 მაისს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა აკაკი ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი XI რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, სადაც მეორე ადგილი დაიკავა პავლე მაისურაძემ, ხოლო მესამე ადგილი - გიორგი ჯიმშიაშვილმა, გიორგი კვაშილავამ და საბა სარალიძემ (მწვრთნელი: ლაშა ჩაჩანიძე)

2024 წლის 26 მაისს ქალაქ წყალტუბოში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო სამმა მოსწავლემ ნიკოლოზ ჩხიკვაძემ, გიორგი წარიაშვილიმა და იური გოგნაძემ, სამივე სპორტსმენმა დაიკავა პირველი ადგილი(მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 2 ივნისს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა ქუთაისის ღია პირველობა მკლავჭიდში, სადაც 75 კგ. და 85 კგ. წონით კატეგორიაში ნიკოლოზ ჩხიკვაძემ დაიკავა პირველი ადგილი, ხოლო 55 კგ. წონით კატეგორიაში იური გოგნაძემ - მეორე ადგილი (მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 5 ივნისს ხარაგაულის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა სასკოლო ფესტივალი რაგბში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სპორტული ცენტრის, დაბის N3 საჯარო, ზესტაფონის, ზედა და ქვედა საქარის და ბორის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა(მწვრთნელი: გიორგი ნინიკაშვილი)

2024 წლის 15 ივნისს ქალაქ ხაშურში ჩატარდა ევროპის და მსოფლიო ჩემპიონის ლუკა მაისურაძის სახელობის ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლემ თორნიკე თაბუკაშვილმა და მძიმე წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი ადგილი(მწვრთნელი: ზაზა ბერაძე)

2024 წლის 18 ივნისს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ღია პირველობა მკლავჭიდში, სადაც 85 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ (მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 19 ივნისს ქალაქ ჭიათურაში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა ლუკა კურტანიძემ, ხოლო მეორე ადგილი - თორნიკე თაბუკაშვილმა(მწვრთნელები: ზაზა ჯანჯღავა და ზაზა ბერაძე)

2024 წლის 10-11 ივლისს ქალაქ თბილისში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო ნიკოლოზ ჩხიკვაძემ და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. ნიკა ჩხიკვაძეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაუფინანსდა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ხარჯები სრულად (მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 14 ივლისს სპორტის ცენტრის დარბაზში ჩატარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის, ჩხოროწყუს, სენაკის, ხონის, მარტვილის, აბაშის, ჭიათურის, საჩხერის, ქუთაისის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტაეკვონდოს სექციის მოსწავლეებმა. ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ხარაგაულელმა მოსწავლეებმა (მწვრთნელი: დავით არჩვაძე)

2024 წლის 2 აგვისტოს ხარაგაულის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ვანო ბანცაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლის ერთეულების ფეხბურთელთა გუნდებმა(მწვრთნელი: გოჩა გელაშვილი)

2024 წლის 1-4 აგვისტოს ქალაქ ბათუმში ჩატარდა ბათუმის ღია პირველობა ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა. პირველი ადგილი დაიკავა ომარ ცისკაძემ, მეორე ადგილი - ინა ღონღაძემ, ხოლო მესამე ადგილი- ბარბარე მდივნიშვილმა, მარიამ ქვემოთიანმა და გიორგი ქვემოთიანმა.(მწვრთნელი: დავით არჩვაძე)

2024 წლის 11 აგვისტოს სოფელ ხიდარში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ზაზა გლუნჩაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრი დოღში, ასევე გაიმართა აფხაზეთის ომში დაღუპული არსენ ბერაძის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

2024 წლის 12 აგვისტოს სოფელ ვახანში ჩატარდა როლანდ არევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი დოღი და მერაბ არევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

2024 წლის 15 სექტემბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდა 2008 წლის ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მკლავჭიდში, სადაც ნიკოლოზ ჩხიკვაძემ 75 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა - პირველი ადგილი, ხოლო ხატია კიკნაძემ -50 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი (მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 28-29 სექტემბერს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა სპორტის ოსტატის გიორგი ლევიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა. მესამე ადგილი დაიკავეს- ტარიელ ჭიჭინაძემ, პავლე მაისურაძემ და თამაზ მიაქიაშვილმა(მწვრთნელი: ლაშა ჩაჩანიძე)

2024 წლის 16-17 ნოემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს თასის პირველობა კუნგ-ფუში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა. პირველი ადგილი დაიკავა საბა ორთოიძემ, მეორე ადგილი - გიორგი ასათიანმა, ხოლო მესამე ადგილი-გიორგი იოსებაშვილმა (მწვრთნელი: ნოდარ გიორგაძე)

2024 წლის 15-17 ნოემბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდა აჭარის თასის ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა. მარჯვენა და მარცხენა ხელში მეორე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ, ხოლო მესამე ადგილი - ხატია კიკნაძემ(მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 29-30 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა თეიმურაზ აფხაზავას საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, სადაც 75 კგ. წონით კატეგორიაში პავლე მაისურაძემ დაიკავა მესამე ადგილი(მწვრთნელი: ლაშა ჩაჩანიძე)

2024 წლის 2 დეკემბერს ქალაქ თბილისში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში ა(ა)იპ „სპორტის ცენტრისა“ და ზაზა ფაჩულიას სახელობის აკადემიის კალათბურთელთა გუნდებს შორის, შეხვედრა ხარაგაულეთა გუნდის გამარჯვებით დასრულდა(მწვრთნელი: ბექა ბანცაძე)

2024 წლის 5 დეკემბერს სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის ღია პირველობა მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის,ხაშურის და ბორჯომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

2024 წლის 6 დეკემბერს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გოგონა კალათბურთელთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს ვერტყვიჭალის, ხარაგაულის, ბაღდათის და ზესტაფონის გუნდებმა. ტურნირში გამარჯვება მოიპოვა ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ გოგონა კალათბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი: ბექა ბანცაძე)

2024 წლის 3-6 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა. პირველი ადგილი დაიკავა ომარ ცისკაძემ, მეორე ადგილი - მარიამ ქვემოთიანმა, ბარბარე მდივნიშვილმა და ფრიდონ ხიჯაკაძემ, ხოლო მესამე ადგილი - ინა ღონღაძემ, ლუკა არჩვაძემ და გიორგი ქვემოთიანმა(მწვრთნელი: დავით არჩვაძე) აღნიშნულ სპორტსმენებზე, ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ წესდების საფუძველზე ორგანიზაციის ბიუჯეტიდან გაცემულ იქნა წამახალისებელი ფულადი ჯილდო.

2024 წლის 14 დეკემბერს ქალაქ ზესტაფონში ჩატარადა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ჯონდო ჯანიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლემ ლუკა კურტანიძემ და 24 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი ადგილი(მწვრთნელი: ზაზა ჯანჯღავა)

2024 წლის 22 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა თბილისის ღია პირველობა მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლემ ხატია კიკნაძემ და 55 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა - პირველი ადგილი (მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2024 წლის 21-23 დეკემბერს ქალაქ ხაშურში ჩატარდა ნიკოლოზ ხვედელიძის და ვასო ჩოჩაშვილის სახელობის IX რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს სპორტის ცენტრის მოსწავლეებმა, მეორე ადგილი დაიკავეს - თამაზ მიაქიაშვილმა, გიორგი ჯიმშიაშვილმა და გიორგი კვაშილავამ, ხოლო მესამე ადგილი - გუგა ხიჯაკაძემ(მწვრთნელი: ლაშა ჩაჩანიძე)

2024 წლის მარტში ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით მოეწყო ფოტო კონკურსი „ჩვენი გაზაფხული ხარაგაულში“, სადაც პირველი ადგილი დაიკავა გვანცა არევაძემ (ვახანის საჯარო სკოლა),ხოლო მეორე ადგილი - მარი პაქსაშვილმა (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა), გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

2025 წლის სპორტული ღონისძიებები:

2025 წლის 25 იანვარს ქ. გორში ჩატარდა იოსებ დურგლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდში, სადაც მეორე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ, ხოლო მესამე ადგილი - იური გოგნაძემ(მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2025 წლის 7 თებერვალს ხარაგაულში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ტურნრში გამარჯვებულები გახდნენ ვაჟებში: პირველი ადგილი- მიშიკო კაციტაძე (ხიდრის საჯარო სკოლა), მეორე ადგილი- გიგა ბერაძე(ხიდრის საჯარო სკოლა), მესამე ადგილი- ნიკოლოზ ლაცაბიძე (N3 საჯარო სკოლა). გოგონებში - პირველი ადგილი მარიამ ბერაძე (ხიდრის საჯარო სკოლა), მეორე ადგილი- ხატია ბერაძე (ხიდრის საჯარო სკოლა), მესამე ადგილი- თამარ ლიპარტია(N2 საჯარო სკოლა)

2025 წლის 15 თებერვალს ქალაქ ბაღდათში ჩატარდა მევლუდი ჯიხვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მესამე ადგილი დაიკავა სანდრო ინასარიძემ (მწვრთნელი: რევაზ შერგელაშვილი)

2025 წლის 12 მარტს ქ. ზესტაფოში ჩატარდა სალიცენზიო შეჯიბრება ძიუდოში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა -თორნიკე თაბუკაშვილმა(მწვრთნელი: ზაზა ბერაძე)

2025 წლის 13-16 მარტს ქ.ვილნიუსში(ლიეტუა) ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო თბილისის საფეხბურთო სკოლის სპორტსმენებმა, მათ შორის ხარაგაულელმა ანდრია კვინიკაძემ (მწვრთნელი: გოჩა გელაშვილი) რომელიც შერჩეული იქნა ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ ფეხბურთის სექციიდან. ანდრია კვინიკაძის სამივლინენხა ანაზღაურებული იქნა ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ ბიუჯეტიდან. გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „სპორტის ცენტრსა “ და დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ჩვენთან მიმდინარეობს წვრთვნები დინამოს პროგრამის მიხედვით.

2025წლის 16 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა ევრაზიის პირველობა კუნგფუში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა საბა ორთოიძემ,ხოლო მეორე ადგილი - გიორგი ასათიანმა(მწვრთნელი: ნოდარ გიორგაძე)

2025 წლის 23 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა გოგონა კალათბურთელთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ ვერტყვიჭალის სექციის კალათბურთელ გოგონათა გუნდმა(მწვრთნელი: ნუგზარ კაპანაძე)

2025 წლის 26 მარტს ხარაგაულში ჩატარადა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში, სადაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ტურნირში გამარჯვებულები გახდნენ:

გოგონები 2013_2015 წწ.

I ადგილი მართა კურტანიძე.(ღორეშის საჯარო სკოლა)
II ადგილი როზიტა კურტანიძე(ღორეშის საჯარო სკოლა)
III. ადგილი ანამარია ხარაიშვილი.(ნადაბურის საჯარო სკოლა)

2016-2018 წწ.

I .ადგილი ანეტი შუბითიძე (ნადაბურის საჯარო სკოლა)
II.ადგილი ეკა კურტანიძე(ღორეშის საჯარო სკოლა)
III.ადგილი ბელა მაღრაძე (ლეღვნის საჯარო სკოლა)

ვაჟები 2013-2015წწ.

I ადგილი გიორგი ინასარიძე (N2 საჯარო სკოლა)
II ადგილი მათე კურტანიძე(ღორეშა)
III.ადგილი სანდრო ინასარიძე(დაბის N2 საჯარო სკოლა)

2016-2018 წწ.

I ადგილი დემნა გოლუბიანი(დაბის N2 საჯარო სკოლა)
IIადგილი ოთარ წიქარიშვილი(ღორეშის საჯარო სკოლა)
III. ადგილი მათე წიქარიშვილი(ღორეშის საჯარო სკოლა)

2025წლის 28 მარტს ხარაგაულში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში მოსწავლეთა შორის, სადაც ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს სასულიერო გიმნაზიის და N 2 საჯარო სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ.შეხვედრა სასულიერო გიმნაზიის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

2025 წლის 29 მარტს ქ. ჩოხატაურში ჩატარდა ასაკობრივი ფესტივალი რაგბში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა(მწვრთნელი: გიორგი ნინიკაშვილი)

2025 წლის 28-30 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა მკლავჭიდში, სადაც პირველი ადგილი დაიკავეს- ხატია კიკნაძემ, ნიკოლოზ ჩხიკვაძემ და ამირან კამკამიძემ. გამარჯვებულემბა მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება(მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2025 წლის 30-31 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეთერთმეტე საკლუბო ჩემპიონატი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა(მწვრთნელი: თორნიკე ინასარიძე)

2025 წლის 2-3 აპრილს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლემ გიორგი თაბუკაშვილმა(მწვრთნელი: ზაზა ბერაძე)

2025 წლის 10 აპრილს ხარაგაულში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა

ძიუდოში მოსწავლეთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „ სპორტის ცენტრის“ ძიუდოს სექციის მოსწავლეებმა(მწვრთნელები: ზაზა ბერაძე, ზაზა ჯანჯღავა, თორნიკე ინასარიძე, სოსო ხაჩიძე, ლევან დონაძე)

2025 წლის 12 აპრილს ქალაქ ბათუმში ჩატარდა ასაკობრივი ფესტივალი რაგბში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ რაგბის სექციის მოსწავლეებმა(მწვრთნელი: გიორგი ნინიკაშვილი)

2025 წლის 16 აპრილს ქალაქ ხობში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს პირველობა მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა და 65 კგ. წონით კატეგორიაში ხატია კიკნაძემ დაიკავა მეორე ადგილი (მწვრთნელი: მერაბ იჩქიტიძე)

2025 წლის 25 აპრილს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში მოსწავლეთა შორის, სადაც გამარჯვება მოიპოვა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის გუნდმა.

2025 წლის 23-25 აპრილს ქალაქ გორში ჩატარდა საქართველოს პირველობა 20 წლამდელთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც 92 კგ. წონით კატეგორიაში ვახო ნიქაბაძემ დაიკავა მესამე ადგილი(მწვრთნელი: რევაზ შერგელაშვილი)

2025 წლის 25-27 აპრილს ქალაქ გორში ჩატარდა საქართველოს პირველობა 15 წლამდელთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლემ აკაკი გუმბერიძე (მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი)

ჩვენს ორგანიზაციაში სპორტულ დარბაზში განთავსებული ტრენაჟორები საჭიროებს განახლებას, რისთვისაც წელს ვგეგმავთ ახალი ინვენტარის შეძენას. დაგეგმილია, რომ სოფელ ვახანში გაიხსნას ქართული ჭიდაობის და სოფელ ხიდარში კიოკუშინ კარატეს სექციები.მნიშვნელოვანია, რომ მერია სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განახორციელებს ქართული ჭიდაობისთვის განკუთვნილი არენის გადახურვას. მერიის მხარდაჭერით უახლოეს პერიოდში იგეგმება წარმატებული სპორტსმენების წასახალისებლად ჯილდოების ოდენობის გაზრდა. ამასთანავე,მაქსიმალურად ვეცდებით ფუნქციონალურად დავტვირთოდ მერიის მიერ გადმოცემული სპორტული მოედნები, რომლებიც განთავსებულია სოფლებში. ასევე, სპორტული დარბაზის შესასვლელში საჭიროა გარკვეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, რათა ნალექის შედეგად არ დაზიანდეს შენობის ფასადი,აღნიშნულის მიზნით მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

ჩვენს ორგანიზაციას საქმიანობის განხორციელებისათვის მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს მუნიციპალიტეტის მერისგან, მერიისგან და საკრებულოსგან. მნიშვნელოვანია,რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტის განვითარებაზე ზრუნვა.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სპორტის ფედერაციებთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან , სკოლებთან და მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებთან.

ჩვენ, სპორტის ცენტრის სასკოლო საზოგადოება სამომავლოდ კვლავ აქტიურად ვიმუშავებთ მიღწეული შედეგების კიდევ უფრო გასაზრდელად.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“

დირექტორი: რევაზ შერგელაშვილი